“ა” კლასის ოსტატთა შეხვედრა

ლენინგრადი. 30 ივნისი (ტელეფონით “ლელოს” სპეციალური კორესპონდენტისაგან).

ლენინგრადის ს.მ. კიროვის სახელობის სტადიონი აივსო ფეხბურთის მოყვარულებით. დიდი იყო თბილისის “დინამოსა” და ადგილობრივი “ზენიტის” მატჩისადმი ინტერესი. თბილისელები გამარჯვების შემთხვევაში მნიშვნელოვნად იუმჯობესებდნენ პირველი ადგილისათვის ბრძოლის შანსებს, ხოლო 2 ქულა ლენინგრადელებს ძლიერ ესაჭიროებოდათ – ისინი უტოლდებოდნენ ლიდერებს.

თამაში დაიწყო მაღალი ტემპით. ორივე გუნდი თამაშობდა ძალების დაძაბვით, ენერგიულად. დინამოელები ჩვეული სწრაფი გარღვევებით ხშირად გადიოდნენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, სადაც სრული დატვირთვით თამაშობდნენ “ზენიტის” დაცვა და მეკარე. მწვავე სახიფათო ხასიათისა იყო ლენინგრადელთა კონტრიერიშები, რომლებიც უფრო ეფექტური აღმოჩნდა.

“ზენიტმა” წარმატებით შეასრულა საპასუხისმგებლო ამოცანა და შეძლო გამარჯვებით, ანგარიშით 2:1 დაემთავრებინა მატჩი.

“ლელო”, 1 ივლისი, 1953 წ.